

## საქართველოს ნიადაგების კორელაცია მსოფლიო მონაცემთა ბაზის ჯგუფებთან

*ლია მაჭავარიანი, გულნარა აფციაური, ელენე ნიკოლაიშვილი, იამზე შელია*

ელ-ფოსტა: lia.matchavariani@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი. ჭავჭავაძის გამზ. #3

მსოფლიოში არსებულ ნიადაგების ეროვნულ და საერთაშორისო კლასიფიკაციებს შორის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ კლასიფიკაციურ-დიაგნოსტიკურ სისტემას ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზა წარმოადგენს (WRB – World Reference Base for Soil Resources), რომელიც ძირეულად განსხვავებულ პრინციპებს ემყარება. WRB წარმოადგენს ნიადაგების კორელაციისა და საერთაშორისო კომუნიკაციის სტანდარტს [1, 2]. ის ასევე არის ნიადაგის რესურსების მენეჯმენტისა და რაციონალური გამოყენების ფუნდამენტური ნაწილი. WRB არ წარმოადგენს დოგმატურ და საკანონმდებლო დოკუმენტს. ის არის განვითარებადი ღია სისტემა, რომელიც ემსახურება ნიადაგების დიაგნოსტიკასა და ეროვნული კლასიფიკაციების კორელაციას [1, 3]. WRB არ ითვალისწინებს ეროვნული კლასიფიკაციების ჩანაცვლებას. ის არის რეალური საშუალება ცალკეული ქვეყნის/რეგიონის ერთიან საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში მოხვედრისა და ორიენტირებისა.

ნიადაგმცოდნეობა, როგორც გლობალური მეცნიერება, საჭიროებს ერთიანი უნიფიცირებული ენის არსებობას. WRB სწორედ ასეთ საერთო „ნიადაგურ ენას“ წარმოადგენს. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი „საქართველოს ნიადაგის გამოკვლევა/სისტემატიზაცია ნიადაგის რესურსების მსოფლიო მონაცემთა ბაზის საფუძველზე“ ემსახურებოდა საქართველოს, როგორც ნიადაგური თვალსაზრისით საინტერესო და მრავალფეროვანი ქვეყნის, საერთაშორისო ნიადაგურ საინფორმაციო სივრცეში განთავსების რელურ მცდელობას.

ეროვნული კლასიფიკაციის მთავარ ტაქსონომიურ ერთეულს გენეტიკური ტიპი წარმოადგენს, შემდეგ: ქვეტიპი, სახე, სახესხვაობა და ა.შ. WRB ეფუძნება ნიადაგის თვისებების ერთობლიობას, რომელიც იყოფა სამ კატეგორიად: დიაგნოსტიკური ჰორიზონტები, დიაგნოსტიკური ნიშან-თვისებები და დიაგნოსტიკური სუბსტრატები. კონკრეტული დიაგნოსტიკური ჰორიზონტების არსებობის (ან არ არსებობის) შესაბამისად გამოიყოფა WRB პირველი დონის საკლასიფიკაციო ერთეულები ე.წ. ნიადაგური ჯგუფები, რომლებიც ფიზიკურ-ქიმიური და მორფოლოგიური (მაკრო-, მიკრო-) ნიშნებით დიფერენცირდებიან უფრო დაბალ დონეებზე [1, 3]. კონკრეტული ნიადაგური პროფილის ზუსტი დახასიათებისა და კლასიფიცირებისთვის, WRB სისტემაში გამოიყენება კვალიფიკატორები - ნიადაგების დიაგნოსტიკური ნიშან-თვისებების გამოხატულების ხარისხის ინდიკატორები. კვალიფიკატორები, როგორც განმსაზღვრელები, ემატება ნიადაგების ჯგუფების ძირითად სახელწოდებებს. შედეგად მიიღება ცალკეული გენეტიკური პროფილის შედარებით ზუსტი და სრული შეფასება [1].

ამგვარი მიდგომით საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა: სხვადასხვა ბიოკლიმატურ პირობებში ფორმირებული ნიადაგები შეიძლება გაერთიანდნენ ერთ ჯგუფში, ან პირიქით – ერთი და იგივე ნიადაგური ტიპი (ეროვნული კლასიფიკაციით) შეიძლება მოხვდეს სხვადასხვა ჯგუფში. შედგენილია ნიადაგური რუკის ელექტრონული ვერსია, სადაც საქართველოს ძირითადი ნიადაგური ტიპები მორგებულია WRB კლასიფიკაციას.

### ლიტერატურა

[1] World Reference Base for Soil Resources, 103 (2006).

[2] X.Z. Shi; D.S. Iu, S.X. Xu, E.D. Warner, H.J. Wang, W.X. Sun, Y.C. Zhao, Z.T. Gong, Cross-reference for relating Genetic Soil classification of China with WRB of different scales. Geoderma 155, 344-350 (2010).

[3] Мировая коррелятивная база почвенных ресурсов: основа для международной классификации и корреляции почв. М., Товарищество научных изданий КМК, 280 (2007).